პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ხუთშაბათი, 4 მაისი, 1950 წ. № 91 (8651). ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი 20 მილიარდი მანეთის თანხისა 20 წლის ვადით.

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლებულ იქნას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვებისა.

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1950 წლის 3 მაისს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვების პირობები

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი გამოშვებულია ვადით 1950 წლის 1 ოქტომბრიდან 1970 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. სესხი განკუთვნილია მხოლოდ მოსახლეობაში გასავრცელებლად.

სესხის გავრცელების წესს ადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

3. სესხი იყოფა თანრიგებად, ას-ასი მილიონი მანეთი ყოველ თანრიგში.

თვითეული თანრიგი შედგება 20.000 სერიისაგან. თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 80.001-დან № 100.000-მდე.

თვითეულ სერიაში ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 01-დან № 50-მდე.

4. სესხის ობლიგაციები გამოდის 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულებისა.

500 და 200 მანეთიანი ობლიგაციები შედგებიან შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევიან ხუთი ან ორი მოგების უფლებას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს.

50, 25 და 10 მანეთიანი ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და იძლევიან უფლებას ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების შესაბამის წილზე (½, ¼, 1/10).

5. სესხის ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით

მოგებათა საერთო თანხა სესხის 20 წლის განმავლობაში დაწესებულია წელიწადში 4 პროცენტის ანგარიშით.

სესხის 20 წლის განმავლობაში მოიგებს ყველა ობლიგაციის 35 პროცენტი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი 65 პროცენტი იფარება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

სესხის მოგებანი წესდება 25.000, 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (100 მანეთის) ჩათვლით.

6. სესხის 20 წლის ვადაში შედგება მოგებათა 40 ტირაჟი — ორ-ორი ტირაჟი ყოველწლიურად.

მოგებათა ტირაჟები შედგება 1951 წლიდან დაწყებული იმ ვადებში, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

7. მოგებათა თვითეულ ტირაჟში სესხის ყოველ თანრიგზე, ე. ი. სესხის თვითეულ 100 მილიონ მანეთზე, გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

100 — მანეთიანი ობლიგაციის მოგებათა ოდენობა ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით	თვითეულ ტირაჟში გათამაშებულ მოგებათა რაოდენობა: 1-10 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	11-20 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	21-30 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	31-40 ტირაჟში თვითეულში გათამაშდება	სულ 40-სავე ტირაჟში გათამაშდება სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე
25.000 მანეთი	1	1	1	1	40
10.000 — „ —	5	5	5	5	200
5.000 — „ —	10	10	10	10	400
1.000 — „ —	100	100	100	100	4.000
500 — „ —	1.000	1.000	1.000	1.000	40.000
200 — „ —	7.984	7.734	7.534	7.284	305.360
მოგებათა საერთო რაოდენობა	9.100	8.850	8.650	8.400	350.000
მოგებათა საერთო თანხა (მანეთობით)	2.321.800	2.271.800	2.231.800	2.181.800	90.072.000

8. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არ ხვდათ, იფარება (გამოიყიდება) მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 1955 წლის 1 ოქტომბრიდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე გამოიყიდება: 1955-1960 წლებში 2,5 მილიონი მანეთი, 1961-1965 წლებში—4,4 მილიონი მანეთი, და 1966-1970 წლებში — 5,6 მილიონი მანეთი ყოველწლიურად.

სესხის ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას 1955-1969 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით; დაფარვის ტირაჟების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულან, გამოიყიდება 1970 წლის 1 ოქტომბრიდან.

9. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნან მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით, შეიძლება წარდგენილ იქნან გასანაღდებლად 1971 წლის 1 ოქტომბრამდე; გასანაღდებლად წარუდგენელი ობლიგაციები ამ ვადის გასვლის შემდეგ კარგავენ ძალას და განაღდებული არ იქნებიან.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი

სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების სესხი

უდიდესი პატრიოტული აღმავლობით, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები გუშინ რადიოთი გადმოცემულ ცნობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მე-5 სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი კრებები. ყველგან ფართოდ გაჩაღდა ახალ სესხზე ხელმოწერა. საბჭოთა ადამიანები თავიანთ შრომით დანაზოგს ხალისით აძლევენ სესხად სახელმწიფოს. ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მათ მიერ დაზოგილი, სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული სახსრები მთლიანად მოხმარდება ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ხელს შეუწყობს საწარმოო ძალთა განვითარებას, გაადიდებს სახალხო დოვლათს, აამაღლებს მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობას. აი რატომ არის საბჭოთა სესხები განსაკუთრებით პოპულარული მშრომელი მასებისათვის.

ომამდელი სტალინური ხუთწლედების განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხმა სესხად მისცა თავის სახელმწიფოს 50 მილიარდამდე მანეთი და ამით დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებას. დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანები ენერგიის დაუზოგავად იბრძოდნენ ფრონტზე და ზურგში, ამავე დროს ვერაგ მტერზე გამარჯვების დასაჩქარებლად მათ სახელმწიფოს სესხის სახით მისცეს 76 მილიარდ მანეთზე მეტი. ომისშემდგომ წლებში სახელმწიფო სესხების საშუალებით ბიუჯეტს 100 მილიარდ მანეთზე მეტი შეემატა.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებისთანავე ჩვენს ქვეყანაში გიგანტური სამუშაოები გაჩაღდა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. საბჭოთა ადამიანებმა უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უმაგალითო აღმავლობა, სასახელო გამარჯვებანი მოიპოვეს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. ამ წარმატებებზე მკაფიოდ მეტყველებენ ახალი ხუთწლედის განვლილი ოთხი წლისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები. ჯერ კიდევ გასული წლის მეოთხე კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვებამ 53 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 22 პროცენტით გაიზარდა. უდიდესი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის, კაპიტალური, საბინაო და კულტურული მშენებლობის, ტრანსპორტის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. ყველა ამ წარმატებათა შედეგად შარშან ჩვენი სამშობლოს ნაციონალური შემოსავალი 36 პროცენტით სჭარბობდა ომამდელი, 1940 წლის შემოსავალს. ამ წარმატებათა საფუძველზე საბჭოთა მთავრობამ 1947 წლის დეკემბრიდან 1950 წლის პირველ მარტამდე სამჯერ განახორციელა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების შემცირება, გააუქმა საბარათო სისტემა, გაატარა ფულის რეფორმა, საბჭოთა მანეთი გადაიყვანა ოქროს პარიტეტზე, რითაც იგი ყველაზე მტკიცე ვალუტა გახდა მსოფლიოში. სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების თანდათანობით შემცირებით, საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარის ამაღლებით საბჭოთა ადამიანებმა უკვე მოიგეს მრავალი ათეული მილიარდი მანეთი. ამასთან ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შენარჩუნებულია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მიღწეული დონე, პენსიებისა და სტიპენდიების ოდენობა, უცვლელი რჩება სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო ფასები.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საამაყო წარმატებანი მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც. რესპუბლიკის მრეწველობამ შარშან 105 პროცენტით შეასრულა გეგმა და 10 პროცენტით გადააჭარბა 1948 წლის დონეს. ამავე დროს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა წინა წელთან შედარებით 29 პროცენტით გაიზარდა. ომისშემდგომ წლებში სწრაფად ვითარდებოდა და ვითარდება ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა. მარცვლეული, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების, ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის 784 მშრომელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. მრავალი ათასი კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის მუშაკი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ომისშემდგომ წლებში ჩვენი სამშობლოს მიერ მოპოვებულ ამ უდიდეს წარმატებებში ფრიად თვალსაჩინოა საბჭოთა სახელმწიფო სესხების როლი. საბჭოთა სახელმწიფო სესხებს დიდი სარგებლობა მოაქვს სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელთათვის. საბჭოთა სახელმწიფო კრედიტის არსებობის პერიოდში მოსახლეობამ მოგების სახით ობლიგაციათა ღირებულებიანად მიიღო 27,5 მილიარდი მანეთი, აქედან მარტო შარშან 2,5 მილიარდ მანეთამდე, ხოლო წელს მოგების თანხა 3,5 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

საბჭოთა სახელმწიფო სესხების მზარდ პოპულარობაზე, მათს საერთო-სახალხო ხასიათზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ინდუსტრიალიზაციის პირველ სესხს, რომელიც საბჭოთა მთავრობამ დაახლოებით ამ 25 წლის წინათ გამოუშვა, ხელი მოაწერა 6 მილიონმა მშრომელმა, 1941 წელს სესხის ხელმომწერთა რაოდენობამ 60 მილიონს მიაღწია, ხოლო ახლა სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელთა ოდენობა 65 მილიონზე მეტია.

საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დაფინანსება ძირითადად ხდება სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მარად მზარდი შემოსავლით. მაგრამ იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო დავაჩქაროთ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლა, უფრო მეტი სახსრები დავაბანდოთ სახალხო მეურნეობაში, მოვამზადოთ ნიადაგი კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის, საბჭოთა მთავრობამ, როგორც წინა წლებში, წელსაც გამოუშვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი 20 მილიარდი მანეთის ოდენობით. ახალი სესხით მიღებული სახსრები სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

ახალი სესხი, ისე როგორც წინა სესხები, მომგებიანია. მისგან შემოსავალი მოსახლეობას აუნაზღაურდება მოგებათა სახით წელიწადში საშუალოდ 4 პროცენტის ოდენობით. ახალ სესხში, წინა სესხებთან განსხვავებით, არ არის 50 ათას მანეთიანი მოგება და შემცირებულია 25 ათას მანეთიან მოგებათა რიცხვი, სამაგიეროდ გადიდებულია 200 მანეთიან მოგებათა რაოდენობა.

სესხზე ხელმოწერა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ღონისძიებაა. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საპატიო მოვალეობაა ეს მუშაობა აწარმოონ ბოლშევიკური ორგანიზებულობით, მაღალ პოლიტიკურ დონეზე; ჩვენი ქვეყნის თვითეულ მშრომელს გულდასმით განუმარტონ საბჭოთა სახელმწიფო სესხების მნიშვნელობა, მისი დანიშნულება, მისი როლი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში; აუხსნან, თუ რას მოხმარდება მათი დანაზოგი, სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული სახსრები.

ეჭვი არ არის საქართველოს მშრომელები, რომლებიც მუდამ მოწინავეთა რიგებში არიან საბჭოთა სესხების რეალიზაციის საქმეში, ამჯერადაც ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ახალ სესხს და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას, თავიანთ ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, უსაზღვრო სიყვარულს ხალხთა გენიალური ბელადის მშობლიური სტალინისადმი.

ერთსულოვნად ჩავატაროთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მე-5 სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა! არც ერთი მშრომელი ახალი სესხის უობლიგაციოდ!

ჩაის ფოთლის კრეფა

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა მასობრივად ჩაღდება. პირველი მაისისათვის სულ მოკრეფილია 1.071,3 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ზუგდიდის რაიონში მოკრიფეს 157,6 ტონა ჩაის ფოთოლი, წულუკიძის — 137,4 ტონა, წყალტუბოს — 126,7, ჩოხატაურის — 73,8, სამტრედიის—28,3, გეგეჭკორის — 86,2, ქუთაისის—52,3, მახარაძის — 36,6, ჩხოროწყუს—28,9, ცხაკაიას — 26,6, წალენჯიხის — 21,2, ხობის — 21,7, ჩხარის — 13,9, ზესტაფონის — 9, ხოლო ტყიბულის რაიონში—6,5 ტონა.

საპირველმაისო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

...მოსკოვის — დიდი საბჭოთა კავშირის დედაქალაქის წითელი მოედანი. ამ დღეს მისდამი მიპყრობილია ყურადღება მთელი მსოფლიოს ყველა ხალხისა, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის. წითელ მოედანზე თავს იყრის ძმური კავშირის მრავალი ძაფი. და ამ კავშირის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენენ მსოფლიოს მრავალი ხალხის დელეგაციები ლენინის მავზოლეუმის სტუმართა ტრიბუნებზე. მათ წინაშე გადაჭიმულია ამ მოედნის უზარმაზარი სივრცე. მოლურჯო ქვაფენილზე გეომეტრიულ სწორ ოთხკუთხედად ჩამწკრივებულან ჯარები. „გუმის" ფასადზე უზარმაზარი ასოებით წარწერილია მოწოდება: „გაუმარჯოს 1 მაისს!" თექვსმეტი დროშა და თექვსმეტი გერბი განასახიერებს საბჭოთა ქვეყნის თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა ურღვევ ერთიანობას. ცენტრში კაცობრიობის ორი გენიოსის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემქმნელების—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის უზარმაზარი პორტრეტები.

წითელ მოედანზე ყველაფერი მზად არის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ტრადიციული საპირველმაისო პარადისათვის. ამ წუთს წითელ მოედანზე ყველა მყოფთა ყურადღება მიპყრობილია ლენინის მავზოლეუმისადმი. მის გრანიტის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. თ. შკირიატოვი. მოედანზე გაისმის მქუხარე, აღფრთოვანებული ოვაცია.

დიდი სტალინი... სიყვარულითა და სიამაყით მიაპყრობენ მას თვალს წითელ მოედანზე მდგომი საბჭოთა არმიის მეომრები., სიყვარულითა და სიამაყით მიესალმებიან დიდ ბელადსა და მხედართმთავარს საბჭოთა ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც ტრიბუნებზე შეკრებილან.

...დილის 10 საათია. გაისმის კრემლის კურანტების პირველი რეკა და მაცხოვრის კოშკის კარში გამოდის საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსი არმიის გენერალი შტემენკო. გენერალი შტემენკო იღებს პარადის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ არტემიევის პატაკს, მასთან ერთად შემოუვლის ჯარებს და მიულოცავს პირველი მაისის დღესასწაულს. მისალმების პასუხად გაისმის მძლავრი „ვაშა!"

ჯარების შემოვლა დამთავრდა. გენერალი შტემენკო მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვით მიმართავს მოედანზე მდგომ ჯარებს, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, მთელ საბჭოთა ხალხს.

საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსის არმიის გენერალ ს. მ. შტემენკოს სიტყვა

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენში საპირველმაისო დღესასწაულზე ჩამოსულო ძვირფასო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა მთავრობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ პირველი მაისის დღეს.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, პირველი მაისის დღესასწაულს ახალი გამარჯვებებით ეგებება. საბჭოთა სახელმწიფო რწმენით მიდის წინ შემდგომი ეკონომიური აყვავებისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობის გზით — კომუნიზმის გზით.

ხუთი წლის წინათ — 1945 წლის 9 მაისს— საბჭოთა ხალხის შეიარაღებულმა ძალებმა ფაშისტური გერმანიის მრავალრიცხოვანი არმია აიძულეს უსიტყვო კაპიტულაცია. მოიხდინა და ძლევამოსილად დამთავრეს ომი. საბჭოთა ხალხმა, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მძიმე მსხვერპლი გაიღეს ამ ომში. მაგრამ საბჭოთა მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და ბოლშევიკების პარტიის და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით, ჩვენმა ქვეყანამ განვლილი ხუთი წლის მანძილზე არა მარტო აღადგინა თავისი მეურნეობა, არამედ მიაღწია უფრო მაღალ ეკონომიურ დონეს, ვიდრე ომამდელ დროს ჰქონდა.

ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, წარმოების თვითღირებულების შემცირება, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება იწვევს ჩვენს ქვეყანაში სიუხვის შემდგომ ზრდას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

კაპიტალიზმის ქვეყნებში ძლიერდება ეკონომიური სიძნელეები და წინააღმდეგობანი, რომლებიც მოწმობენ ეკონომიური კრიზისის ზრდას. ამ ქვეყნების მშრომელები განიცდიან უფრო და უფრო მეტ გაჭირვებასა და უბედურებას, რეაქციის თვითნებობისა და კაპიტალისტური წესწყობილების მიერ ჩაგვრას.

ამხანაგებო!

საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად, პირველი მაისის დღეს ხვდებიან მტკიცედ დარწმუნებულნი თავის ძალასა და ძლიერებაში და მზადმყოფნი იმისათვის, რომ დაიცვან ჩვენი მშვენიერი სამშობლო ყოველი აგრესორის მხრივ ხელყოფისაგან.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები სიფხიზლით იცავენ საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუვალობას და მტკიცედ დგანან მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე.

ნუ დაივიწყებენ ომის გამჩაღებლები, რომ გამალებული შეიარაღება, აგრესიული ბლოკების შეკოწიწება, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გარშემო სამხედრო პლაცდარმების შექმნა და ყოველგვარი პროვოკაციების მოწყობა ვერ შეაშინებს საბჭოთა კავშირის ხალხებს და წააწყდება მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრეთა მტკიცე წინააღმდეგობას.

ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკების პარტია, ამხანაგი სტალინი მოუწოდებენ მთელ საბჭოთა ხალხს — თავისი შემოქმედებითი შრომით ამრავლოს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალები, მოიპოვოს ახალი გამარჯვებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

თავიანთი სოციალისტური სამშობლოს, პარტიისა და მთავრობის ერთგული, შეიარაღებული ძალების მეომრები მომავალშიც დაუღალავად იმუშავებენ თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემდგომი ამაღლებისათვის.

საბჭოთა ხალხს შეუძლია მტკიცედ იყოს დარწმუნებული, რომ მისი არმია, ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მუდამ მზად არიან ღირსეულად მოიხადონ თავიანთი წმიდა ვალი სამშობლოს წინაშე.

გაუმარჯოს პირველ მაისს — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშების ძმობის დღეს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას—ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! ვაშა!

★ ★ ★

ამ პირველი მაისის დღეს რაღაც განსაკუთრებით სასიხარულოდ და ამაღლებულად გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის საზეიმო მელოდია, სადღესასწაულო საარტილერიო სალუტის გრიალი.

იწყება საპირველმაისო პარადი. მას ხსნიან სამხედრო აკადემიები, საბჭოთა ოფიცრობა—არმიის ნებისყოფა და ტვინი.

სახმელეთო პარადის მეწინავე ნაწილებთან თითქმის ერთდროულად წითელი მოედნის თავზე გამოჩნდა ოთხმოტორიანი ბომბდამშენი, რომელსაც ავიაგამანადგურებლები ახლავან. ეს არის საჰაერო პარადის სარდლის ავიაციის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. სტალინის საფლაგმანო ხომალდი.

ზუსტი მწყობრით გაიარა მძიმე საბრძოლო ხომალდების — საჰაერო სახაზო გემების კოლონამ. ბომბდამშენების შემდეგ ტალღა-ტალღად მოდიოდნენ მოწმენდილ ცაში სხვადასხვა ფორმის, სიდიდის, სიჩქარის, სხვადასხვა დანიშნულების თვითმფრინავები.

ხრახნიანნი და რეაქტიულნი, უზარმაზარნი და მინიატურულნი—ისინი ცხადყოფდნენ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრესა და ძლიერებას, საბჭოთა კონსტრუქტორების მოწინავე აზრს, მუშებისა და ინჟინრების დიდ უნარს, საბჭოთა მრეწველობის მაღალ დონეს.

რუსეთი ავიაციისა და საჰაერო ნაოსნობის სამშობლოა. მას ეკუთვნის უდავო პრიორიტეტი უმნიშვნელოვანეს აღმოჩენათა და გამოგონებათა დარგში.

ჩვენი სამშობლოს საავიაციო ძლიერების აყვავება დაიწყო დიდი ოქტომბრის შემდეგ. ლენინმა და სტალინმა დაარწიეს თანამედროვე საბჭოთა ავიაციის აკვანი. ისტორია ინახავს ორასზე მეტ დოკუმენტს ავიაციის შესახებ, რომლებსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი. სტალინური ხუთწლედების მანძილზე, ასრულებდნენ რა დიდი ბელადის მოწოდებას: ვაფრინოთ ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს, ყველაზე ჩქარა, საბჭოთა მფრინავებმა თავიანთი სამშობლო დააყენეს მსოფლიოში პირველ ადგილზე საავიაციო რეკორდების რაოდენობითა და ხარისხით. იმ წლებში გაიზარდნენ ისეთი დევგმირები, როგორიც იყო ჩვენი დროის დიდი მფრინავი ვალერი ჩკალოვი.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ავიაციის მიერ მოსპობილი გერმანელთა 75 ათასი თვითმფრინავი წარმოადგენს ჩვენი ავიაციის ძლიერების დამაჯერებელ ილუსტრაციას.

გამართული, ფლოტური ნაბიჯით მოდიან მეზღვაურები წითელ მოედანზე. უწინაფრო ქუდების ნარინჯისფერ-შავი ლენტებით ადვილად გამოიცნობ გვარდიელ მატროსებს. ისინი ჩამოსულან ბალტიკიდან და შავი ზღვიდან, ჩრდილოეთის საზღვაო ფლოტიდან. მათ მოაქვთ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის თეთრ-ცისფერი ალამი.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდება ძველი დიდებაა. იგი იშვა პეტრე I-ის დროს, როცა რუსებმა მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვებანი შვედებზე—იმ დროის ყველაზე გამოცდილ მეზღვაურებზე. რუსეთის ფლოტის საუკუნეობრივი ტრადიციები შეადგენენ საბჭოთა ადამიანების დიდი პატრიოტული სიამაყის საგანს. „წყალქვეშა ნავების, წყალზედა ხომალდების მეზღვაურებმა, საზღვაო მფრინავებმა, არტილერისტებმა და ქვეითებმა ხითვისეს და განავითარეს ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო რუსული ფლოტის საუკუნოვან ტრადიციებში", — თქვა ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა.

რუსმა ხალხმა თავისი წიაღიდან წარმოშვა არა მარტო მეზღვაურები, არამედ გამოჩენილი ხომალდმშენებლებიც. წყალქვეშა ნავის აღმოჩენის პატივი რუს მეზღვაურებს ეკუთვნით. რუსეთის ვერფებში აგებულია პირველი ჯავშნიანი კრეისერი, რომლის ნიმუშის მიხედვით დაიწყეს ამ ტიპის საბრძოლო ხომალდების აგება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დიდი ფლოტის აგების პირველი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ამხანაგი სტალინი. მისი ინიციატივით შეიქმნა შავი ზღვის, ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის ფლოტები, გაძლიერდა ჩვენი უძველესი ბალტიის ფლოტი. საბჭოთა ხალხს სურს თავისი ფლოტი კიდევ უფრო ძლიერი და მძლავრი იხილოს!

მეზღვაურთა კოლონას წითელ მოედანზე ცვლის მოსკოვის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვანი ქვეითი ჯარის სასწავლებელი.

ქვეითი ჯარის კოლონას მოჰყვებიან ჩვენი სამშობლოს ყველაზე ახალგაზრდა მეომრები—სუვოროველებისა და ნახიმოველების ქვეგანაყოფები. სამხედრო სამსახური ყრმობის წლებიდანვე გახდა მათი მუდმივი პროფესია. არ არის უფრო საპატიო სამსახური, არ არის უფრო წმინდა მოვალეობა, ვიდრე სამშობლოს დაცვა.

ქვეითი ჯარის შემდეგ წითელ მოედანზე გაიარა ცხენოსანმა ჯარმა, გაქროლეს ლეგენდარულმა სატყვიამფრქვევო ტაჩანკებმა, რომლებსაც ხალხურ ლექსებში უმღერიან, გაიარა ცხენოსანმა არტილერიამ, — რუსული იარაღის უძველესმა გვარეობამ, რომელიც ჯერ კიდევ პეტრე პირველმა შექმნა...

ცხენოსანი ჯარის კოლონების თავზე ზუზუნით და გრიალით, რაც რეაქტიული მანქანების ფრენის დამახასიათებელი ხმაა და რაც უკვე ჩვეულებრივი გახდა საბჭოთა ადამიანის ყურისათვის, გაქროლეს ავიაგამანადგურებელთა უკანასკნელმა რგოლებმა. დამთავრდა საჰაერო პარადის დიდებული სანახაობა. წითელ მოედანზე გრძელდება სახმელეთო ჯარების საზეიმო მარში...

მავზოლეუმის წინ მტკიცე ნაბიჯით გაიარა ერთ-ერთმა საუკეთესო შენაერთმა — ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის გვარდიის წითელდროშოვანმა სუვოროვის ორდენოსანმა მსროლელთა დივიზიამ. მისი მეთაურის — საბჭოთა კავშირის გმირის გვარდიის გენერალ-ლეიტენანტ კომაროვის სახელი დიდი სამამულო ომის წლებში 11-ჯერ იყო მოხსენიებული უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში. მოსკოვი სალუტს აძლევდა მისი ჯარების გამარჯვებებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ორიოლი, ბელგოროდი და პოლტავა, წარმატებით გადალახეს ვისლა და ოდერი. ამ სახელგანთქმული დივიზიის 34 მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

მოტორების ყრუ გუგუნით, გრანიტის ძელაკებზე შინების რბილი შრიალით წითელ მოედანზე შემოვიდა არტილერიის კოლონა. პარადზე მას მოუძღვის არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი რიაბოვი.

მოძრაობა დაიწყეს პატარა საზენიტო ზარბაზნებმა, რომლებიც მუსრავდნენ მტრის სვავებს. არტილერიის კოლონის მოძრაობის მიხედვით დიდდებოდა კალიბრები, ძლიერდებოდა გუგუნი, იცვლებოდა ტრანსპორტი, მსუბუ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქ თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1950 წლის 1 მაისს. ტრიბუნაზე არიან (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები ქ. ციმაკურიძე, ვ. ბაქრაძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ზ. კეცხოველი, ს. იშხანოვი, ნ. რუხაძე, რ. შადური, ა. თოფურიძე, ზ. ჩხუბიანიშვილი, ქ. ჩარკვიანი, არმიის გენერალი ანტონოვი, ვ. გოგუა, მ. ლელაშვილი, მ. ბარამია, გ. ზამბახიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

საპირველმაისო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

(დასასრული)

ქი სატვირთო მანქანები შეცვალეს მძიმე მანქანებმა, მძიმე მანქანები — ტრაქტორებმა.

სატანკო კოლონას წითელ მოედანზე მოუძღოდა საბჭოთა არმიის ერთ-ერთი უძველესი ჯავშანსატანკო ნაწილი — გვარდიის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი კანტემიროვკის სატანკო დივიზია.

რუსეთი ტანკმშენებლობის სამშობლოა. ჯერ კიდევ 1837 წელს შტაბს-კაპიტანმა ზაგრიაჟსკიმ წარმოადგინა მსოფლიოში პირველი პროექტი მუხლუხა ძრავისა—„დაუსრულებელი რელსებიანი გზისა, რომელიც თვითონ საზიდარს მიაქვს". 1880 წელს რუსმა ოსტატმა ფ. ა. ბლინოვმა ააგო და შემდეგ სარატოვისა და ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე აჩვენა მუხლუხა ტრაქტორი. ეს იყო მსოფლიოში პირველი ყველგანმავალი მანქანა, რომელიც შემდეგ საბრძოლო მანქანად განვითარდა და ტანკის სახელწოდება მიიღო. ვოლსკელმა ოსტატმა ბლინოვმა 32 წლით გაუსწრო ამერიკელ ჰოლტს.

და აი ახლა წითელ მოედანზე მოდიან საბჭოთა ტანკები „ტ-34" და სახმელეთო ჯავშნოსნები „იოსებ სტალინი", რომელთა ბადალი დღემდე არ გაუჩნია არც ერთ საზღვარგარეთელ არმიას, და გვონია, რომ მათი მძიმე ნაბიჯით თვით დედამიწა ზანზარებს.

უკანასკნელი ტანკები მიეფარნენ ბასილ ნე-

[...]

მხრებზე ისვამენ ბავშვებს და გრანიტის ტრიბუნაზე თვალით ეძებენ იმ ადამიანს, ვისი სახელიც აღბეჭდილია ყველა საბჭოთა ადამიანის გულში. მოედნის ყველა კუთხიდან მოისმის— ამხანაგ სტალინს—ვაშა!

ათასობით პლაკატი, დიაგრამა, ფერადი პანო მჭევრმეტყველურად მოწმობს დედაქალაქის ომისშემდგომ წარმატებებს, მოსკოველთა—მეტალურგთა, მშენებელთა, ფეიქართა, ავტომობილებისა და დაზგების შემქმნელთა, მეცნიერთა, კონსტრუქტორთა და ინჟინერთა პატრიოტულ საგმირო საქმეებს.

მრავალი პლაკატისა და დიაგრამის სიტყვებითა და ციფრებით გამოხატულია კონცენტრირებული ნებისყოფა საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც მთელი შემოქმედებითი ენერგიით, ბოლშევიკური პარტიის წინამძღოლობით, იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის, კომუნიზმის ზეიმისათვის.

პირველი მაისის ამ მზიან დღეს დედაქალაქის მშრომელნი ძმურ სალამს გადასცემენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის მებრძოლ ყველა ხალხს. ათასობით ტილოსა და ტრანსპარანტზე აღბეჭდილია სიტყვები მგზნებარე მისალმებისა დიდი ჩინელი ხალხისადმი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებისადმი, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებ-

[...]

შრომისა და გამარჯვების ზეიმი

პირველი მაისის დღესასწაული თბილისში

მთელი თბილისი გამოვიდა პირველ მაისს ქუჩებში, რათა ზეიმით აღენიშნათ მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობისა და ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის საერთაშორისო დღე.

ქალაქი საზეიმოდ იყო მორთული. შენობათა ფასადებს ამშვენებდნენ დიდი სტალინისა და მის თანამებრძოლთა პორტრეტები, წითელი დროშები, ლოზუნგები.

ბერიას მოედანი — დედაქალაქის მშრომელთა საყვარელი ადგილი, მათი ზეიმებისა და დემონსტრაციების ტრადიციული ადგილი — განსაკუთრებული გემოვნებითაა მორთული.

დილაადრიან ამ მოედნისაკენ დაიძრნენ თბილისის გარნიზონის ჯარები პირველი მაისის ტრადიციულ სადღესასწაულო პარადში მონაწილეობის მისაღებად. მოედნის ირგვლივ შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, დედაქალაქის საწარმოთა სტახანოველები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები, პედაგოგები...

სწორ ოთხკუთხედებად დაწყობილი გარნიზონის ჯარები სულგანაბულნი დგანან მოედანზე. საათის ისარი ათს უახლოვდება. მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ქ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ზ. კეცხოველი, ა. თოფურიძე, რ. შადური, გ. ზამბახიძე, ვ. ბაქრაძე, ს. იშხანოვი, ქ. ციმაკურიძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ნ. რუხაძე, მ. ლელაშვილი, გენერლები, მინისტრები, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები.

სრული ათი საათია. მოედანზე გაისმის მხედრული ძახილი:

— სმენა!

ჯარის ნაწილები გაირინდნენ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობის ალაყაფის კარიდან ბერიას მოედანზე გამოდის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი ა. ანტონოვი. პარადის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ტარასოვი ამხ. ანტონოვს პატაკს აძლევს პარადისათვის ჯარების მზადყოფნის შესახებ.

ამხ. ანტონოვმა ჩამოუარა მოედანზე ჩამწკრივებულ ჯარებს, მიესალმა მეომრებს და მიულოცა მათ 1 მაისის დღესასწაული. შემხვედრი მარშის მძლავრი ხმები ერთვის მეომართა ერთსულოვან „ვაშას" გრიალს...

არმიის გენერალი ანტონოვი ტრიბუნაზე ადის და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით სიტყვით მიმართავს ჯარებსა და მშრომელებს.

ამხ. ანტონოვი ლაპარაკობს იმ შესანიშნავ მიღწევებზე, რომლებიც საბჭოთა ხალხმა, კერძოდ საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დიად სტალინურ დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის ბრძოლის ფრონტზე.

— საბჭოთა ხალხმა თავისი გმირული შრომით,—ამბობს ამხ. ანტონოვი, დაამთავრა სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი გარდაქმნა და წარმატებით შეასრულა დიადი სტალინური ხუთწლედის გასული ოთხი წლის გეგმა. მკვეთრად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ქვეყნის მეცნიერება და კულტურა. ამ საქმეში სერიოზული წარმატებები აქვს მოპოვებული ქართველ ხალხსაც, რომელიც დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხებთან ერთად ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ახლა უდიდესი აღფრთოვანებით იბრძვის ომისშემდგომი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

შემდეგ ამხ. ანტონოვი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის უდიდეს როლზე მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში, ლაპარაკობს ამერიკელ და ინგლისელ ომის გამჩაღებელთა ავანტიურისტულ, იმპერიალისტურ პოლიტიკაზე, მათ მზაკვრულ მაქინაციებზე. ამხ. ანტონოვი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებს მოუწოდებს მომავალშიც ფხიზლად იდგნენ მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე, კვლავაც თავდადებულად განაგრძონ ბრძოლა თავიანთი სამხედრო ოსტატობის სრულყოფისათვის, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში ახალი წარმატებათა მოპოვებისათვის.

ამხ. ანტონოვი ამთავრებს თავის სიტყვას და დღეგრძელობას უსურვებს ჩვენს დიდ სამშობლოს, მის გმირ ხალხს, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა მთავრობას, ბოლშევიკების დიად პარტიას, ჩვენი გამარჯვებების სულის-

[...]

ყველა დამსწრე აღტაცებულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული ძალებით, პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი მამაცი საბჭოთა არმიით, რომელიც აღზრდილია ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის მიერ, არმიით, რომელმაც დიდი სამამულო ომის ბრძოლებში ღირსეულად გამოატარა თავისი საბრძოლო დროშები და კაცობრიობა იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

საბჭოთა მეომრები ფხიზლად დგანან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უშიშროების საგუშაგოზე და იცავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. ამ საყვარელ არმიას, თავის პირმშოს მხურვალედ და აღტაცებით მიესალმებოდა თბილისის მშრომელთა სახით მთელი ქართველი ხალხი.

* * *

მცირე ინტერვალის შემდეგ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა მძლავრი სადღესასწაულო კოლონები...

თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია გახსნეს დედაქალაქის ფიზკულტურელებმა. მათი მწყობრად დარაზმული კოლონები მრავალი სპორტული დროშით მოედანზე შემოვიდნენ კიროვის ქუჩიდან. ფიზკულტურელთა კოლონის ავანგარდში არიან დინამოელები, სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, შრომითი რეზერვების, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და დედაქალაქის სხვა სპორტული კოლექტივები. განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდნენ დამსწრენი ფიზკულტურელთა მიერ შესრულებულ სხვადასხვა ვარჯიშს. თბილისის ფიზკულტურის ინს-

[...]

ზეიმზე გამარჯვების პატაკით გამოვიდნენ. საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებანი მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. დემონსტრანტთა შორის არიან დეპოს წარჩინებული ადამიანები, რომელთაც ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებანი დიდი ხნის წინათ შეასრულეს და ახლა 1965 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ამაყად მოაბიჯებენ სავაგონო და საელმავლო დეპოების, ავტოსარემონტო ქარხნის, კიროვის დაზგათმშენებელი ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, სოციალისტური შრომის ნოვატორები. ყველა აღნიშნული კოლექტივები საპირველმაისოდ პარტიასა და მთავრობას უპატაკებენ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ.

თბილისის ყოველი რაიონი ყოველთვის თავისი ორიგინალური პროფილით გამოდის სადღესასწაულო დემონსტრაციებზე. ასე იყო ამ დღესაც. სტალინის რაიონის მშრომელთა კოლონის შემოსვლა მოედანზე სიხარულის გაზაფხულის ნამდვილი მაჩვენებელი იყო. ამ რაიონის მშრომელთა კოლონის ავანგარდშიც მოდიოდნენ მოსწავლეები და პიონერები ცოცხალი ყვავილების თაიგულებით, ალისფერი დროშებით, მოსწავლე ფიზკულტურელები, რომლებიც ოსტატურად ასრულებდნენ თავისუფალ ვარჯიშს. ტრიბუნის წინ ამაყად ჩაიარეს ტრამვაისა და ტროლეიბუსის, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, თამბაქოს ფაბრიკებისა და

[...]

საპირველმაისო პარადი ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1950 წლის 1 მაისს

ფოტო ვლ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას

მთელ რესპუბლიკაში ახალ სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს

ფეიქრები ხელს აწერენ სანიმუშო დარაზმულობით

— თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი საწარმოო დავალებათა შესრულებაში მოწინავეა. ჩვენი ღირსების საქმეა ჩავდგეთ ახალი სესხის გამავრცელებელთა პირველ რიგებში, ერთსულოვნად მოვაწეროთ ხელი ახალ სესხს, — მოუწოდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ამ მოწინავე საწარმოს კოლექტივს კამვოლური საამქროს უფროსმა ს. ნოვიკმა.

— სიხარულით მივცემ ჩემს შრომით დანაზოგს — თვენახევრის ხელფასს სესხად სამშობლოს, რადგან იგი ხმარდება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აყვავებას, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემდგომი განმტკიცების საქმეს, — განაცხადა ოსტატის თანაშემწემ გ. ხიტურიძემ.

ფაბრიკის ამ მოწინავე, მთლიანად სტახანოვური კამვოლური საამქროს კოლექტივის მაგალითისამებრ წარმატებით გააჩაღეს ახალ სესხზე ხელმოწერა საქსოვ საამქროშიც. საამქროს უფროსმა ს. ამაშუკელმა, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის ხელმძღვანელმა ნ. ხარიტონაშვილმა და მრავალმა სხვა მოწინავე ადამიანმა ახალ სესხს ხელი მოაწერა თვენახევრისა და ორი თვის ხელფასზე.

ასევე ორგანიზებულად და სანიმუშო დარაზმულობით მოაწერეს სესხს ხელი მაუდის, სამღებრო-საპრეტურო და მექანიკურ საამქროებში.

რამდენიმე საათის განმავლობაში ფაბრიკის კოლექტივმა სესხზე ხელმოწერა ძირითადად დაამთავრა.

სესხად მივცემთ სახელმწიფოს ერთი თვის ხელფასს

ახალი სესხის გამოშვების შესახებ რადიოთი ცნობის გადმოცემის დამთავრებისთანავე სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურენი საამქროებში მიტინგებზე შეიკრიბნენ. ორთქლმავლების ამწყობ საამქროში მიტინგი გახსნა პარტბიუროს მდივანმა ამხ. ს. ფირცხალავამ. ახალი სესხის გამოშვების, მისი დანიშნულებისა და გავრცელების პირობების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ამხ. დ. მამაცაშვილი.

— საბჭოთა ხალხი, — ამბობს მომხსენებელი, — ყოველთვის ერთსულოვნად უჭერს მხარს ჩვენი მთავრობის ღონისძიებებს. საბჭოთა სახელმწიფო სესხები, რომლებიც დამატებითი წყაროს წარმოადგენენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ვრცელდება. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა შარშან, ისე როგორც წინა წლებში, ერთსულოვნად მოაწერა ხელი სესხს. მოგიწოდებთ წელსაც ასეთივე ენთუზიაზმით მივცეთ სესხად სახელმწიფოს ჩვენი დანაზოგი და ამით ხელი შევუწყოთ ახალი ხუთწლედის ვადამდე დამთავრებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან საამქროს მოწინავე ადამიანები, წარჩინებული სტახანოველები.

— ჩვენ კარგად გვესმის, თუ რას ხმარდება მშრომელთა მიერ სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული სახსრები, — ამბობს სტახანოველი ზეინკალი ნ. მაისურაძე, — ისინი ხმარდება ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების, კეთილმოწყობილი ბინების, სკოლებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის კერების მშენებლობას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. მე სიამოვნებით ვაწერ ხელს ხუთი კვირის ხელფასზე და მოვუწოდებ ჩვენი საამქროს კოლექტივს სესხად მისცენ სახელმწიფოს თავიანთი დანაზოგი.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. კაპანაძემ, სტახანოველმა ნ. სტეპანოვმა, ახალგაზრდა სტახანოველმა ნ. ხარატიშვილმა, საამქროს უფროსის მოადგილემ ს. ბუდეშტსკიმ, ახალგაზრდა ოსტატმა შ. ყალიჩავამ, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ხელი მოაწერონ თითო თვის ხელფასზე.

მიტინგის დამთავრებისთანავე იქვე გაიმართა სესხზე ხელისმოწერა, რაც ერთი საათის განმავლობაში დამთავრდა.

მიტინგები შედგა აგრეთვე ქარხნის საქვაბე, სახარატო, სამჭედლო, სამგზავრო ვაგონების შემკეთებელ და ყველა სხვა საამქროში.

უდიდესი ერთსულოვნებით

ცნობამ ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ უდიდესი სიხარული გამოიწვია თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივში. ამწყობ საამქროში შეიკრიბნენ ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები. მიტინგი გახსნა პარტბიუროს მდივანმა კ. გოგლიძემ.

სიტყვა აიღო წარჩინებულმა სტახანოველმა მბურღავმა სალომე ალავერდაშვილმა.

— ჩვენი მთავრობა, — განაცხადა მან, — განუწყვეტლივ ზრუნავს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების უფრო განმტკიცებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ამიტომ ჩვენ, მშრომელები, სიხარულით ვაძლევთ სესხად მთავრობას ჩვენს შრომით დანაზოგს. პირადად მე ხელს ვაწერ სესხზე თვენახევრის ხელფასის ოდენობით.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — განაცხადა პირველი მექანიკური საამქროს უფროსმა თ. დავითაშვილმა, — მოწინავეა შრომაში, იგი ზედიზედ მესამედ ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. დარწმუნებული ვარ, ასევე მოწინავე ვიქნებით სესხის გავრცელების საქმეშიც.

წარჩინებულმა ხარატმა, ლითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატმა ა. აგაჯანოვმა ხელი მოაწერა ხუთი კვირის ხელფასზე, სტახანოველმა ამწყობმა ზეინკალმა შ. სოსიაშვილმა ერთი თვის ხელფასზე, ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსმა ინჟინერმა ლ. კულიკოვმა — თვენახევრის ხელფასზე.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში

(ტელეფონით „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

ბათუმი

აჭარის დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, მშენებლობებსა და სასწავლებლებში უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობით დაიწყო ახალ სესხზე ხელმოწერა. სახელდახელო მიტინგები ჩატარდა სტალინის სახელობის ნავთგადამმუშავებელი ქარხნის საამქროებში. პირველი საამქროს უფროსმა ს. დოლიძემ, წარჩინებულმა სტახანოველმა ოპერატორებმა ს. ჩანტლაძემ, ვ. დარჩიამ, ი. დანილოვმა და სხვებმა, რომლებიც პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ, სურვილი გამოთქვეს თვენახევრის ხელფასზე მოაწერონ ხელი. მესამე საამქროს ოპერატორებმა რ. ბაბალეიშვილმა და შ. დუნდუამ ხელი მოაწერეს თვიური გამომუშავების 180 პროცენტზე.

ერთსულოვნად ვრცელდება ახალი სესხი მომთუთიებელ ქარხანაში, პედინსტიტუტში და სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

აჭარის რაიონების კოლმეურნეები ნაღდზე აწერენ ხელს ახალ სესხს.

სოხუმი

წარმატებით შეუდგნენ ახალი სესხის გავრცელებას სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში, სანავსადგურო მოწყობილობათა ქარხანაში და სამრეწველო კომბინატში.

სესხის გავრცელებაში პირველი მაგალითის მიმცემად გამოვიდნენ მოწინავე სტახანოველები ზეინკალი გ. ლომჯარია, მჭედელი ნიკიფორე რუხაძე, ტყავგადამმუშავებელი საამქროს უფროსი ნ. კიკალეიშვილი და სხვები.

ზემო სვანეთი

ზემო სვანეთის სოფლებში ახალი სესხის გავრცელება დიდი წარმატებით დაიწყო. კოლმეურნეობებში შემდგარ მიტინგებზე კოლმეურნეები თავიანთ სიტყვებში უსაზღვრო ერთგულებისა და ღრმა სიყვარულის გრძნობებით ლაპარაკობდნენ ლენინ-სტალინის დიად პარტიაზე, საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორზე დიდ სტალინზე.

— ცხოვრება საამური გახდა. ამას ჩვენ დიდ სტალინს ვუმადლით. გვინდა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ხალხის ცხოვრება, ამიტომ სახელმწიფოს სიხარულით ვასესხებთ ჩვენს შრომით დანაზოგსო, — ამბობდნენ კოლმეურნეები.

სტალინირი

ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების გამო სამხრეთ ოსეთის საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში შედგა ხალხმრავალი მიტინგები. მიტინგები გადაიქცა საბჭოთა სამშობლოსადმი, მშობლიური სტალინისადმი მშრომელი მასების უსაზღვრო ერთგულების ბრწყინვალე დემონსტრაციად.

— თვითეულმა ჩვენგანმა იცის, — თქვა ლენინგორის რაიონის სოფელ დიანეთის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანმა ნიკოლოზ ბერიანიძემ,—ახალი სახელმწიფო სესხის დანიშნულება. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მანეთები ხმარდება კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობას, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებას, მშვიდობის საქმეს. შემაქვს ჩემი წვლილი საერთო სახალხო საქმეში, ხელს ვაწერ ახალ სესხზე და სიხარულითა და აღფრთოვანებით შემაქვს ნაღდად ხელმოწერის თანხა.

ასევე მოიქცნენ ამავე კოლმეურნეობის სტახანოველები სიმონ, ბესარიონ და გიორგი ბერიანიძეები და სხვები. მათ ხელმოწერის თანხა ნაღდ ფულად შეიტანეს. ასევე მოიქცნენ ამავე რაიონის სოფელ ყანჩაეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები, უხვი მოსავლის ოსტატები მიხეილ და გიორგი ტატუნაშვილები, ნელი და ნინო ტატუნაშვილები, ეკატერინე ცქიტიშვილი და სხვები.

ქუთაისი

ქუთაისის მშრომელები ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. საავტომობილო ქარხნის მშენებლობის სტახანოველმა კალატოზმა შოთა გიორგაძემ მიტინგზე განაცხადა, რომ თავდადებული შრომით აღწევს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს და ხელფასსაც დიდს იღებს. მან პირველმა მოაწერა ხელი სესხზე. შემდეგ სესხზე ხელს აწერენ დამხმარე საწარმოთა უფროსი ვ. ხუნწარიძე და ინჟინერი პ. მაღრაძე.

მანქანათმშენებელ ქარხანაში შემდგარ მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და სესხზე პირველად მოაწერეს ხელი ბრიგადირმა მ. დეისაძემ და ოსტატმა ი. სეფიაშვილმა.

პედინსტიტუტში ათასამდე სტუდენტი, პროფესორი და ლექტორი დაესწრო მიტინგს. პროფესორმა ა. ბოჭორიშვილმა, დოცენტებმა შ. აბრამიძემ, ა. კორძაძემ, ს. კარსანიძემ, სტალინურმა სტიპენდიატმა სტუდენტმა ს. ფუტკარაძემ პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და უდიდესი აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი ახალ სესხზე.

წულუკიძე

წულუკიძის რაიონში მშრომელთა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა მთავრობის დადგენილებამ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს. საღამოს 8 საათისათვის რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში ძირითადად დამთავრდა ხელმოწერა. ამავე დროისათვის რაიონის კოლმეურნეობათა წევრებმა ნაღდად შეიტანეს იმაზე გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე შარშან სესხზე ხელმოწერის დაწყების პირველ დღეს.

ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში. ტრიბუნაზეა ფაბრიკის დირექტორი თ. გოგოლაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი

★

ა. გ. ზვერევი

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი

★

საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი. ახალი სესხის მიზანია მოიზიდოს მოსახლეობის სახსრები სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის დასაფინანსებლად, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა განსახორციელებლად.

სახელმწიფო სესხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ დიდი როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ფულადი რესურსების დაგროვების ამოცანების გადაწყვეტაში, ხელი შეუწყეს პარტიასა და მთავრობას გადაექციათ ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მძლავრ ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ომისწინა სტალინური ხუთწლედების წლებში სახელმწიფო სესხებზე ხელმოწერის გზით ბიუჯეტში შემოვიდა დიდი თანხა — თითქმის 50 მილიარდი მანეთი.

დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი სესხები მტრის განადგურების საქმისათვის სახსრების მობილიზაციის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდნენ. საბჭოთა ადამიანებმა, თავიანთი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა, სამხედრო სესხებზე ხელმოწერის გზით სახელმწიფოს სესხად მისცეს 76 მილიარდზე მეტი მანეთი.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სტალინური გეგმის განხორციელებას. იმ ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მიზნით, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დაგვისახა თავის ისტორიულ სიტყვაში 1946 წლის 9 თებერვალს, საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მთელი რიგი სესხები. სახელმწიფო სესხების გზით შემოსულმა სახსრებმა ომისშემდგომ წლებში 100 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

სსრ კავშირის სახელმწიფო სესხების განუწყვეტელი წარმატება მკაფიოდ მოწმობს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მაღალ პატრიოტიზმს, მათ უსაზღვრო ერთგულებას თავიანთი მშობლიური სახელმწიფოსადმი, მათ დარაზმულობას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

საბჭოთა სესხები საყოველთაო-სახალხო აღიარებით და ნდობით სარგებლობენ. ეს ნამდვილი სახალხო სესხებია. ჩვენში სესხების ხელისმომწერია მთელი მშრომელი მოსახლეობა.

სესხების ობლიგაციებს რომ იძენს, ჩვენმა ხალხმა იცის, რომ სახელმწიფო სესხებში მოთავსებული მისი შრომითი დანაზოგი ხელს უწყობს სსრ კავშირის საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას. ამასთანავე სახელმწიფო სესხები უშუალო შემოსავალს აძლევენ ობლიგაციების მფლობელთ. საბჭოთა სახელმწიფო კრედიტის არსებობის განმავლობაში მოსახლეობამ 27,5 მილიარდი მანეთი მიიღო სესხების მოგებად. მარტო 1949 წელს მოსახლეობამ დაახლოებით 2,5 მილიარდი მანეთი მოგება მიიღო, ხოლო 1950 წელს მოგებათა თანხა უფრო იმატებს და 3,5 მილიარდ მანეთს შეადგენს.

ჩვენი სესხების დაფარვა, მათი პროცენტების გადახდა არ ტვირთავს სახელმწიფო ბიუჯეტს, არ მოითხოვს საგადასახადო დაბეგვრის გაძლიერებას და მთლიანად უზრუნველყოფილია სოციალისტური მეურნეობის მზარდი დაგროვებით.

სესხების დასაფარავი და პროცენტების გასასტუმრებელი ხარჯების ხვედრითი წონა საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტში უმნიშვნელოა და მთელი ხარჯების 1 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

სულ სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. იქ გამოშვებული სესხები ხმარდება უდიდესი საბიუჯეტო დეფიციტების დაფარვას, ახალი იმპერიალისტური ომების მომზადების დაფინანსებას, უზარმაზარი ჩინოვნიკურ-პოლიციური აპარატის შენახვას. კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სესხები არანაყოფიერია და ამიტომ მათ დაფარვის მხოლოდ ერთი წყარო აქვთ — მოსახლეობისაგან აღებული გადასახადები. რაც უფრო მეტია სახელმწიფო ვალი, მით უფრო მეტია გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება მშრომელთა ფართო მასებს.

ეხებოდა რა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სესხების გადასახდელთა საკითხს, მარქსი წერდა: „სახსრებს ამ გადასახდელთათვის ბურჟუაზიული სახელმწიფო მშრომელ კლასებს ართმევს გადასახადების სახით. ამრიგად, თვითონ ხალხი უნდა იყოს თავისი მჩაგვრელთა თავდები იმათ წინაშე, ვინც ამ მჩაგვრელთ სესხად აძლევს ფულს, რათა მათ შეეძლოთ აწამონ ხალხი"[1]).

საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს და ხალხის ინტერესები ერთმანეთისაგან განუყოფელია. სწორედ ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს სესხებზე ხელმოწერა ყოველთვის იქცევა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი გამოშვებულია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულმა საბჭოთა ხალხმა, დიდი სტალინის წინამძღოლობით მოიპოვა დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ომისშემდგომ აღმავლობაში და მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით.

საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის შედეგად ვადამდე სრულდება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილმა სოციალისტურმა მრეწველობამ გასული წლის ოქტომბერში უკვე გადააჭარბა საერთო პროდუქციის გამოშვების იმ დონეს, რაც ხუთწლიანი გეგმით დაწესებულია 1950 წლისათვის. თუ ომამდე, 1938-1940 წლებში სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური მატება 12-13 პროცენტს შეადგენდა, ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენი მრეწველობის ზრდის საშუალო ტემპმა 22,5 პროცენტს მიაღწია.

შესანიშნავ შედეგებს იძლევა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. 1949 წელს გადიდდა სოციალისტურ საწარმოთა რენტაბელობა, დაჩქარდა სახალხო მეურნეობაში სახსრების ბრუნვა, უფრო ეფექტიანი ხდება ძირითადი ფონდების გამოყენება, გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

უდიდესი მასშტაბებით ჩაღდება კაპიტალური მშენებლობა. აღდგენილ იქნა და ამუშავდა ათასობით საწარმო, რომლებიც დანგრეული იყო ომის დროს და მტრის ოკუპაციის პერიოდში, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაცემულია მრავალი ახალი ფაბრიკა და ქარხანა.

დიდი წარმატებები მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც შეიარაღებული არიან პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებებით სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი განვითარებისა და აღმავლობის შესახებ. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 1949 წელს გადააჭარბა ომამდელ 1940 წლის დონეს და თითქმის მიაღწია ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებულ ოდენობას, შეადგინა 7,6 მილიარდი ფუთი. ბამბის, სელის, მზესუმზირას და კარტოფილის საერთო მოსავალმაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. წარმატებით სრულდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. შესანიშნავი შედეგებია მიღწეული ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელებაში.

სოფლის მეურნეობის ეს წარმატებანი შესაძლებელი გახადა მხოლოდ მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ, სტალინური ხუთწლედების მანძილზე შექმნილმა საკოლმეურნეო წყობილებამ.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უდიდესი მიღწევების საფუძველზე სწრაფად იზრდება ნაციონალური შემოსავალი, განუხრელად უმჯობესდება ჩვენი ხალხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონე. უდიდესი მოგება, რაც ასეულ მილიარდობით მანეთს შეადგენს, მიიღო მოსახლეობამ ომის შემდეგ მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სამგზის შემცირებით.

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას უზრუნველყოფს არა მარტო ფართო მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირება, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდა, გლეხთა შემოსავლის გადიდება. ჩვენი სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ხარჯავს მუშა-მოსამსახურეთა სოციალურ დაზღვევაზე, პენსიებზე, მოსახლეობისათვის უფასო სამედიცინო დახმარების მოწყობაზე, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებაზე და სხვ. 1949 წელს მოსახლეობამ სახელმწიფოსაგან ასეთი დახმარების სახით 110 მილიარდ მანეთზე მეტი მიიღო.

მთლიანად, გასულ წელს მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი შესადარ ფასებში ერთ მუშაზე გამოანგარიშებით 24 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს, გლეხების შემოსავალი — 30 და მეტი პროცენტით.

1947 წელს ფულის რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და ფასების შემცირების პოლიტიკის მეოხებით, რასაც პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ, განმტკიცდა ფულის ბრუნვა ჩვენს ქვეყანაში, მნიშვნელოვნად გადიდდა მანეთის მყიდველობითი უნარი და ამასთან დაკავშირებით იმ ოფიციალურ კურსზე უფრო მაღალი გახდა, რომლის გამოანგარიშებაც 1937 წლიდან ხდებოდა ამერიკულ დოლართან შეფარდებით. სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ ამა წლის 1 მარტიდან ფასების შემცირებასთან ერთად გაადიდა მანეთის ოფიციალური კურსი უცხოეთის ვალუტებთან შეფარდებით და საჭიროდ ცნო, რომ მანეთის კურსი გამოანგარიშებულ იქნას არა ამერიკული დოლარის ბაზაზე, რომელიც მნიშვნელოვნად გაუფასურდა, არამედ უფრო მყარ ოქროს საფუძველზე, მანეთის ოქროს შემცველობის შესაბამისად.

საბჭოთა მთავრობის ეს გადაწყვეტილება მოწმობს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურის წინაშე. ჩვენი საბჭოთა მანეთი მსოფლიოში ყველაზე მტკიცე და მყარი ვალუტაა. სავსებით უეჭველია, რომ მანეთის მყიდველობითი უნარი შემდეგშიც გაძლიერდება, ვინაიდან საბჭოთა ფული ეყრდნობა სოციალისტური სახელმწიფოს მძლავრ ეკონომიკას, რომელიც სულ უფრო და უფრო მტკიცდება.

სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების ზრდის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. 1949 წლის დამლევს დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში 36 მილიონი კაცი სწავლობდა. ფართოდ გაჩაღებულია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში.

საბჭოთა მეცნიერები წარმატებით წყვეტენ ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანას „...უახლოეს დროში... გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ". სხვა მიღწევებთან ერთად ისინი მოკლე ვადაში დაეუფლნენ ატომური ენერგიის საიდუმლოებას.

ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა ახალი, ფართო პროგრამა, ფართოვდება საავადმყოფოთა ქსელი, მატულობს ექიმთა რაოდენობა.

სსრ კავშირში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი გაქანება მკაფიო გამოხატულებას პოულობს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები სახალხო-სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დასაფინანსებლად, რაც ასეულ მილიარდობით მანეთს შეადგენს, იფარება უწინარეს ყოვლისა იმ შემოსავლით, რომელსაც იძლევიან სოციალისტური მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები. ამასთანავე სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებულ სახელმწიფო სესხებზე ხელმოწერით შემოსული თანხები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი გამოშვებულია 20 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 20 წლის ვადით. ახალი სესხის ობლიგაციები გამოშვებულია 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულებისა. თვითეულ მშრომელს შეუძლია ხელი მოაწეროს რა ღირებულების ობლიგაციაზეც სურს.

ახალი სესხი, ისე როგორც წინა სესხები, მომგებიანია. შემოსავალი სესხზე მოსახლეობას ეძლევა მოგებათა სახით, რომლებიც წელიწადში საშუალოდ 4 პროცენტს შეადგენენ. მოგება დაწესებულია 25.000, 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთი ასმანეთიან ობლიგაციაზე, თვით ობლიგაციის ღირებულების ჩათვლით.

საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებასთან და მისი მყიდველობითი ძალის გადიდებასთან დაკავშირებით, ახალ სესხში, წინა სესხებისაგან განსხვავებით, არ არის 50.000-მანეთიანი მოგება და შემცირებულია 25.000-მანეთიან მოგებათა რიცხვი. ამავე დროს გადიდებულია 200-მანეთიან მოგებათა რაოდენობა.

სესხის ოცი წლის ვადის განმავლობაში იგებს ობლიგაციების 35 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 65 პროცენტი ობლიგაციების მფლობელებს აუნაზღაურდებათ მათ ღირებულების მიხედვით. სულ 20 წლის განმავლობაში სახელმწიფო დაუბრუნებს სესხის მფლობელებს, მიცემულ მოგებათა ჩათვლით, ერთნახევარჯერ მეტ თანხას, ვიდრე მიიღებს. ამ სესხზე, დაწყებული 1951 წლიდან ყოველ წელიწადს შედგება მოგებათა ორი ტირაჟი, სულ 20 წლის განმავლობაში კი 40 ტირაჟი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხის გავრცელება უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიას წარმოადგენს. წამყვანი, მაორგანიზებელი როლი ახალ სესხზე ხელმოწერის ჩატარებაში ეკუთვნით პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, საფინანსო ორგანოებსა და შემნახველ სალაროებს. სესხების წარმატებით გავრცელებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმისადმი ხელშემწყობმა კომისიებმა, რომლებიც უშუალოდ ატარებენ ხელმოწერას საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში.

ახალ სესხზე ხელმოწერის ჩატარების დღეებში უნდა გაჩაღდეს მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა ქალაქისა და სოფლის მთელ მოსახლეობაში. ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ საუკეთესო აგიტატორები, პროპაგანდისტები, წარმოების საუკეთესო მუშაკები, მინდვრების სტახანოველები, თვითეულ მშრომელს უნდა განვმარტოთ ახალი სესხის მნიშვნელობა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აგიტაცია სესხის სასარგებლოდ—ეს არის თხრობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებებზე, რაც მიღწეულია ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკის, მეცნიერების, ხელოვნების წარმატებებზე, საბჭოთა წყობილების მიერ აღზრდილ ადამიანთა ზრდაზე.

თვითეული მშრომელი უნდა იცნობდეს ახალი სესხის გამოშვების პირობებს, უნდა იცნობდეს იმ სარგებლობას, რასაც იღებს მოსახლეობა ახალ სესხზე ხელმოწერით.

საბჭოთა სესხების ძირითადი პრინციპია ხელმოწერის ნებაყოფლობა. ისევე როგორც წინა სესხები, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეხუთე სახელმწიფო სესხი ვრცელდება ნებაყოფლობის საფუძველზე. თვითეული მშრომელი თვითონ განსაზღვრავს თავისი ხელმოწერის ოდენობას და რა ობლიგაციების მიღება სურს. ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ახალ სესხზე ხელმოწერაში ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა მონაწილეობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ობლიგაციების ათეულ მილიონობით მფლობელებთან სესხზე ანგარიშსწორების სწორ ორგანიზაციას. ეს ფრიად პასუხსაგები საქმეა. იგი დაკისრებული აქვთ საწარმოთა და დაწესებულებათა ბუხჰალტერიებს. აღნიშნული მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე დამოკიდებულია სესხებით მიღებული სახსრების თავის დროზე გადარიცხვა ბიუჯეტში. საჭიროა, რომ სესხის გავრცელების პირველი დღეებიდანვე უზრუნველყოფილ იქნას ხელმოწერის სრული და ზუსტი აღრიცხვა, რომ სესხით შემოსული თანხები შეუფერხებლად გადაეცეს სახელმწიფო ბიუჯეტს.

მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის ზრდა, სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების სისტემატური შემცირება და მოსახლეობის უფართესად ფართო მასების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება ქმნის ხელსაყრელ პირობებს ხალხის დანაზოგის ზრდისათვის, რაც ჩვენი სახელმწიფო სესხების ბაზას წარმოადგენს.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა ხალხი მხურვალედ დაუჭერს მხარს ახალ სესხს და ერთსულოვანი ხელმოწერით კვლავ ცხადყოფს თავის ერთგულებას ბოლშევიკების პარტიისადმი და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი, თავის ურყევ ნებისყოფას ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, შემდგომი გამარჯვებებისათვის კომუნიზმის ზეიმის გზაზე.

[1]) კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. IX, გვ. 142.

პირველი მაისის დღესასწაული საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში

ბათუმი

საზეიმოდ მორთულმა ქალაქმა პირველ მაისს ადრე გაიღვიძა. დილის 11 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. პირველად მთავრობის ტრიბუნის წინ ჩაიარა სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სახელოვანმა კოლექტივმა. მას მოყვა ბათუმელი რკინიგზელების კოლონა. ტრიბუნის წინ მტკიცე ნაბიჯით მოდიან მთავარნავთგასაღების ბათუმის სამმართველოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურენი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის 4 თვის დავალებანი.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს კულტურის, მედიცინისა და განათლების მუშაკებმა, მოსწავლეებმა, ქალაქის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

სამ საათს გაგრძელდა ბათუმელ მშრომელთა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა. საღამოს ქალაქის პარკებსა და ბაღებში მოეწყო მასობრივი სეირნობა, თეატრებსა და მუშათა კლუბებში გაიმართა სადღესასწაულო კონცერტები და დადგმები. (საქ. კორ.).

სოხუმი

სოხუმი მორთულია დროშებით, ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით, ლოზუნგებით. 12 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრანტები მწყობრად და ლამაზად მიდიან ტრიბუნის წინ. პედაგოგიური ინსტიტუტის, პედაგოგიური სასწავლებლის, ვაჟთა პირველი და ვაჟთა მეორე სკოლის ფიზკულტურელებმა ტრიბუნასთან თავისუფალი ვარჯიში შეასრულეს.

მოედანზე შემოდის საპირველმაისო შეჯიბრებაში გამარჯვებული სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი. კარგი შთაბეჭდილება დატოვა რკინიგზელთა კოლონამ.

* * *

2 მაისს სოხუმის „დინამოს" სტადიონზე მოეწყო ფიზკულტურელთა დიდი პარადი, რომელშიც 2.000-ზე მეტი ფიზკულტურელი მონაწილეობდა. პარადში მონაწილეობდნენ ქალაქ სოხუმის, ტყვარჩელის, გუდაუთის, გაგრის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონის ფიზკულტურელები. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ქალაქ სოხუმის, ტყვარჩელისა და გუდაუთის ფიზკულტურელებს.

1 და 2 მაისს ქალაქგარეთ პარკებსა და ბაღებში გაიმართა დიდი სეირნობა. ლენინის სახელობის პარკში მოეწყო ხალხური თვითმოქმედი გუნდების გამოსვლა და ბავშვთა მასობრივი გართობა-თამაშობა. (საქ. კორ.).

სტალინირი

ქალაქი საპირველმაისოდ მოირთო. პირველ მაისს სტალინის სახელობის მოედანზე მოეწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნის წინ ჩაიარეს სტალინირის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა.

მტკიცე ნაბიჯით მოდიოდნენ სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, სამხატვრო სასწავლებლის, პედაგოგიური სასწავლებლის, ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები.

ლამაზი იყო სკოლამდელ ბავშვთა კოლონა.

დემონსტრანტთა კოლონებს მოჰქონდათ ალისფერი დროშები, ამხანაგ სტალინისა და მის თანამებრძოლთა პორტრეტები, საპირველმაისო ლოზუნგები. (საქ. კორ.).

ქუთაისი

პირველ მაისს სრულ 12 საათზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია. ტრიბუნის წინ პირველად ჩაიარეს ქალაქის ფიზკულტურელებმა, რომლებიც საუკეთესოდ შეხვდნენ საგაზაფხულო სასპორტო სეზონს. მათ მოედანზე ოსტატურად წარმოადგინეს მრავალი სახის ვარჯიში და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

კოხტად, ორგანიზებულად ჩაიარეს ქალ-ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და ტექნიკუმების სტუდენტებმა, რომელთა მრავალისმეტყველ ტრანსპარანტებზე ჩანდა ჩვენი ახალგაზრდობის მტკიცე სურვილი — პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის ყოველდღიურ ზრუნვას უპასუხონ საუკეთესო სწავლით.

მწყობრი ნაბიჯით მოდიან აბრეშუმკომბინატის, მანქანათმშენებელი, საკონსერვო, ლიტოპონის ქარხნების, ახალმშენებლობების, მაუდისა და სამკერვალო ფაბრიკების, რკინიგზის კვანძისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების კოლექტივების კოლონები. ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლონას ამშვენებდა წარწერა: „1 მაისის აღსანიშნავად ვადამდე გავანაღდეთ 4 თვის პროგრამა და დამატებით მივეცით ქვეყანას 10.000 წყვილი ფეხსაცმელი". მეფეხსაცმლეთა პირველ რიგებში იყვნენ სტახანოველი ბრიგადირები ვ. აბულაძე, დ. ათხაიძე და სხვები, რომელნიც პირველნი გამოეხმაურნენ ლ. კორაბელნიკოვას ინიციატივას და 29 აპრილს იმუშავეს დაზოგილი ნედლეულით.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 60 ათასამდე კაცმა. (საქ. კორ.).

რუსთავი

დემონსტრაცია დაიწყო ფიზკულტურელების კოლონით. მოდიან ქალაქის გამოჩენილი მშენებლები, ბეტონის ცენტრალური კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, რომლებმაც აპრილის გეგმა ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულეს და ჩვენს ქვეყანას 200.000 მანეთი ეკონომია მისცეს. მოდიან რკინიგზელები, რომლებმაც ჯერ კიდევ 25 აპრილისათვის 122 პროცენტით შეასრულეს საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულება. მათ მოჰყვებათ ექსკავატორების მემანქანე სტახანოველები ჩ. კეშელავა, ი. გაევოი და სხვები.

საღამოს მშენებელთა კლუბში მრავალმა მაყურებელმა ნახა რუსთავში საგასტროლოდ ჩამოსული გრიბოედოვის სახელობის თეატრის დადგმა „მოსკოვური ხასიათი". (საქ. კორ.).

ჭიათურა

ჭიათურელი მაღაროელები საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ პირველ მაისს. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლით მარგანეცის ტრესტმა 29 აპრილისათვის შეასრულა აპრილის დავალება და საპირველმაისოდ გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცა ათასობით ტონა მარგანეცი. მარგანეცის მრეწველობის წარჩინებული ადამიანები სადღესასწაულო ვახტზე დადგნენ და მაღალნაყოფიერი შრომის საუცხოო ნიმუშები მოგვცეს. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს ორგზის ორდენოსანმა სტახანოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პლ. ბოყოველმა 30 აპრილს ღამის ცვლაში 60 ტონა მარგანეცი მისცა სამშობლოს და გეგმა 332 პროცენტით შეასრულა. გეგმების ორ-სამმაგი შესრულებით აღნიშნეს პირველი მაისი სტახანოველებმა დ. ფერაძემ, ს. ოთინაშვილმა, არ. ძინძიბაძემ, ა. გაფრინდაშვილმა.

პირველ მაისს 12 საათზე დაიწყო ჭიათურის მშრომელთა დემონსტრაცია. დემონსტრაცია დაიწყო ფიზკულტურელების გამოსვლით.

მაღაროელთა პირველ კოლონაში მოდიან ლენინის სახელობის მაღაროს წარჩინებული ადამიანები. მათ შორის არიან ორდენოსნები, სახელმოხვეჭილი სტახანოველები. მათ მოჰყვება სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა აპრილის გეგმა. შეწყობილი ნაბიჯით გაიარეს ტრიბუნასთან კაგანოვიჩის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის, ბერიას სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა, მთავარი მექანიკური სახელოსნოს მუშაკებმა, ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. (საქ. კორ.).

ტყიბული

პირველი მაისის დღესასწაულს თვალსაჩინო შრომითი მიღწევებით შეხვდნენ ტყიბულელი მეშახტეები. ასეულობით მეშახტემ, მრავალმა უბანმა და სამმა შახტმა ვადაზე ადრე შეასრულეს ქვანახშირის ამოღების აპრილის გეგმები.

სადღესასწაულოდ მორთულ მეშახტეთა ქალაქში პირველ მაისს გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაცია. ტრიბუნასთან ჩაიარეს ქალაქის ყველა საწარმო - დაწესებულების მშრომელებმა, რომელთა შორის თავისი საწარმოო მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ ლენინისა და სტალინის სახელობის შახტების კოლექტივები. მათ აპრილში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ტონა ქვანახშირი მისცეს სამშობლოს.

საღამოს ბაღებსა და პარკებში მოეწყო მასობრივი სეირნობა. (საქ. კორ.).

ქალაქ თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე 1950 წლის 1 მაისს

მშვიდობის ძალთა საბრძოლო დათვალიერება

პირველი მაისის დღესასწაული საზღვარგარეთ

ძლევამოსილად, თავისუფლად და სიხარულით აღინიშნა შრომის საერთაშორისო დღესასწაული—1 მაისი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით ადამიანმა, რომლებიც სამუდამოდ განთავისუფლდნენ კაპიტალიზმის ბორკილისაგან და დაადგნენ სოციალიზმისა და დემოკრატიის გზას. ჩინეთის მშრომელები ისტორიაში პირველად მიდიოდნენ თავისუფალი და ამაყი ნაბიჯით საპირველმაისო დემონსტრაციების კოლონებად პეკინისა და შანხაის ქუჩებში, მიდიოდნენ ბედნიერი სიმღერით, როგორც თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები. უმაღლითო ზეიმით შეხვდნენ პირველ მაისს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები. ამ დღეს მათ სიამაყით შეაჯამეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში მოპოვებული დიადი წარმატებანი, რომლებსაც მათ მიაღწიეს თავიანთი დიდი და ერთგული მეგობრის საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით. კაპიტალის ქვეყნებში 1 მაისი ჩატარდა, როგორც მუშათა კლასის საბრძოლო ძალების მრისხანე და დიდებული დათვალიერება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების მხდალმა ანტიხალხურმა მთავრობებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც კი შეეძლოთ, რათა ჩაეშალათ მშრომელთა ძმობისა და საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული.

ამ დღეს მთელი მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის ფიქრი მიპყრობილი იყო საბჭოთა სახელმწიფოსადმი — ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და მეგობრობის ბურჯისადმი, პროგრესული კაცობრიობის უდიდესი მეგობრისა და ბელადის დიდი სტალინისადმი. „გაუმარჯოს სტალინს — გაუმარჯოს მშვიდობას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯს!", „გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას!", „ძირს ომის გამჩაღებლები!" — ამ ლოზუნგებით გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაციები და მიტინგები დედამიწის ყველა კუთხეში — პოლონეთსა და საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიასა და იტალიაში, ჩინეთსა და ინდოეთში, იმ თავისუფალი სახელმწიფოების ქალაქებსა და სოფლებში, რომლებსაც ხალხი მართავს, და იმ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ კიდევ იმპერიალიზმის უღელქვეშ გმინავენ.

თითქმის ორმოცი წლის წინათ დიდი სტალინი 1 მაისის დღესასწაულზე წერდა, რომ ამ დღეს მშრომელებმა გადაწყვიტეს „მთელ მსოფლიოს ხმამაღლა და აშკარად განუცხადონ, რომ მუშებს კაცობრიობისათვის მოაქვთ გაზაფხული და კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლება, რომ მუშები მოწოდებული არიან განაახლონ მსოფლიო თავისუფლებისა და სოციალიზმის საფუძველზე".

მას შემდეგ მსოფლიომ საკუთარი თვალით იხილა კაპიტალიზმის ბორკილებისაგან ასობით მილიონი ადამიანის განთავისუფლება. იგი მოწმე იყო იმ გიგანტური ქვეყნის სრული განახლებისა, რომელიც მოიცავს დედამიწის მეექვსედს — ჩამორჩენილი, ღატაკი რუსეთის გადაქცევისა მსოფლიოს ყველაზე ძლიერ, მოწინავე სახელმწიფოდ.

მსოფლიო ამჟამად მოწმეა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განახლებისა, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით დაადგნენ თავისუფლებისა და სოციალიზმის გზას. მთელი მსოფლიოს თვალწინ იწყება განახლება, აყვავება ძველი ჩინეთისა, რომელსაც სოციალიზმის გზა გაუხსნა ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ.

ხალხებს ომი არა სურთ. პირველი მაისის დღესასწაულის დღეს მათ კვლავ გააფრთხილეს მსოფლიო ბატონობის ახლადმოვლენილი პრეტენდენტები, რომ მშვიდობა კაცობრიობისათვის ყველაზე ძვირფასი საუნჯეა, რომლის ხელყოფაც არავის შერჩება. მთელ მსოფლიოში მშრომელებმა მტკიცედ და გადაჭრით განაცხადეს: ჩვენ მშვიდობას როდი ვთხოულობთ, ჩვენ მას მოვითხოვთ!

ჯერ არასოდეს არ ყოფილა მშვიდობისადმი მშრომელი კაცობრიობის მისწრაფების ისეთი გრანდიოზული დემონსტრაცია, როგორც 1950 წლის პირველი მაისის ზეიმის დღეებში იყო.

ამ დღისათვის მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწოდებას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელი მოაწერა სულ სხვადასხვა შეხედულებისა და პროფესიის მილიონობითა და მილიონობით ადამიანმა, რომლებიც სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ. მარტო სამ ქვეყანაში — ბულგარეთში, რუმინეთსა და უნგრეთში — 1 მაისისათვის ამ მოწოდებას ხელი მოაწერა 17 მილიონამდე კაცმა. ბევრ ქვეყანაში 1 მაისის დღე გახდა მშვიდობისათვის ხმის მიცემის ფართო კამპანიის დასაწყისი.

საპირველმაისო დემონსტრაციებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ნამდვილად მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, საკმარისია ითქვას, რომ ბუდაპეშტში დემონსტრაციაში მონაწილეობდა 600 ათასი კაცი, ბუქარესტში—450 ათასი, ვარშავაში—300 ათასი, სოფიაში—250 ათასი კაცი.

პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის მშრომელებმა გამოააშკარავეს თავიანთი მისწრაფება მშვიდობისადმი და ცხადყვეს, რომ ისინი იმყოფებიან მშვიდობისათვის, ახალი ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში. ამასთან ერთად საპირველმაისო დემონსტრაციები ამ ქვეყნებში იყო სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე მშრომელთა შესანიშნავი მიღწევების დათვალიერება. ფაბრიკა-ქარხნების, ახალმშენებლობათა მუშებმა თავიანთ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, თავიანთ სახალხო მთავრობებს უპატაკეს საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულების შესახებ, შრომითი სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ მიერ მოპოვებული წარმატებანი მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილია.

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, რომელიც გამოვიდა საპირველმაისო დემონსტრაციაზე ვარშავაში, მხურვალედ მიესალმა მოძმე საბჭოთა ხალხს.

„თქვენი გამარჯვების მეოხებით,—მიმართა მან საბჭოთა ადამიანებს, — პოლონეთმა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოძმე ხალხებმა მოიპოვეს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და შესაძლებლობა აშენონ ახალი, უკეთესი ცხოვრება! თქვენი დახმარების მეოხებით ჩაღდება დღეს ასობით მილიონ მშრომელთა ძლევამოსილი და შეუფერხებელი საბრძოლო სვლა ახალი, სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ!

პოლონეთისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების თავისუფალმა ხალხებმა გამოიყენეს თქვენი გამოცდილება და აშენებენ სოციალიზმს, რომელმაც თქვენ მოგანიჭათ უკეთესი და უფრო ბედნიერი ცხოვრება და თქვენი მძლავრი ქვეყანა უფრო მდიდარი და უძლეველი გახადა... დაე გაძლიერდეს მხურვალე გრძნობები მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის უდიდესი მეგობრისა და ბელადისადმი, ფაშიზმის ძლევამოსილი შემმუსვრელის, მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ხალხთა შეუდრეკელი მედროშის — იოსებ სტალინისადმი".

ამ სიტყვებით ბერუტმა გამოხატა არა მარტო პოლონელი ხალხის, არამედ ყველა იმ სახალხო დემოკრატიული ქვეყნის მშრომელების აზრები და გრძნობები, რომლებიც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ფაშისტური ჩაგვრისაგან და რომლებიც ამჟამად წარმატებით უყრიან საფუძველს სოციალიზმს.

მძლავრი საპირველმაისო დემონსტრაცია გაიმართა ბერლინში. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მილიონამდე მშრომელმა. აღმოსავლეთ სექტორის მშრომელებთან ერთად ქუჩებში გამოვიდა ბერლინის დასავლეთი სექტორების მთელი პროგრესული მოსახლეობა. დემონსტრაციამ ცხადყო, რომ ქალაქის მშრომელები მზად არიან მთელი ძალებით იბრძოლონ მშვიდობისათვის, გერმანიის ერთიანობისა და მუშათა კლასის ერთიანობისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისათვის. მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ მზად არიან შეურიგებლად იბრძოლონ ომის გამჩაღებელთა და ადენაუერისა და შუმახერის ტიპის მათი გერმანელი ლაქიების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად საპირველმაისო დემონსტრაცია ბერლინში გახდა დიდი საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ბელადის ი. ბ. სტალინისადმი ბერლინელი მოსახლეობის მეგობრული გრძნობების გამოხატულება. დემონსტრანტებს მიჰქონდათ ამხანაგ სტალინის დიდი პორტრეტები და ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებდნენ მეგობრობის განმტკიცებისაკენ დიდ საბჭოთა კავშირთან, რომელიც სათავეში უდგას პროგრესის, მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკს.

300.000-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინის საპირველმაისო დემონსტრაციაში. დემონსტრაციას ხელი ვერ შეუშალა ძლიერმა წვიმამ. იგი 5 საათს გაგრძელდა და დამთავრდა სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სამხედრო ავიაციის საჰაერო პარადით.

დემონსტრანტები მხურვალედ მიესალმნენ ტრიბუნაზე მყოფ ჩინელი ხალხის ბელადს მაო ძე დუნს, ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებს ლიუ შაოცის, სუნ ძინ-ლინს, ჯენ ლანს, ლი ძი-შენს, სახალხო განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალ ჯუ დეს, ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრ ჯოუ ენ-ლაის, სახალხო მთავრობის მინისტრებს, პარტიული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და საკავშირო ალკკ დელეგაციის წევრებს ნ. ა. მიხაილოვის მეთაურობით.

დემონსტრანტების კოლონებს მოაქვთ მაო ძე-დუნისა და ჯუ დეს პორტრეტები, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მრავალი პორტრეტი. ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტებს აქვს წარწერა: „ჩინელი ხალხის საუკეთესო მეგობარი".

შანხაის საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 500 ათასზე მეტმა კაცმა. დემონსტრაცია მიმდინარეობდა საყოველთაო მშვიდობის დასაცავად მთელი ძალების მობილიზაციისა და ომისგამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით. დემონსტრანტებს მოჰქონდათ პლაკატები მოწოდებებით: „ტაივანის განთავისუფლებისათვის", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობის ბურჯს!" „გაუმარჯოს ჩინელი და საბჭოთა ხალხების სამარადისო ურღვევ მეგობრობას!"

ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტიების მეთაურობით კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი თავის გარშემო აერთიანებს ერების მთელ პროგრესულ ძალებს. 1 მაისს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებმა ცხადყვეს საერთაშორისო სოლიდარობის და მშვიდობისათვის ბრძოლის დროშის გარშემო ხალხთა დარაზმულობის მძლავრი ძალა. პარიზის საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 44 დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, რომლებიც მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენებს აერთიანებენ.

დემონსტრანტები მქუხარედ მიესალმნენ ჟოლიო-კიურის, მორის ტორეზს, ჟაკ დიუკლოს, მარსელ კაშენს, ბენუა ფრაშონს, იმ ფარესა და ამერიკელი იმპერიალისტების მიერ საფრანგეთის დამონების წინააღმდეგ, ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ ბრძოლის სხვა გამოჩენილ ორგანიზატორებს. პარიზელებმა პირველ მაისს ბასტილიის ისტორიულ მოედანზე საფრანგეთში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს და სხვა პროგრესული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გადასცეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდების ტექსტები, რომლებზეც ხელი უწერია ათასობით ფრანგს.

ერთ-ერთი საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა, რომელთა მშობლებიც ფაშისტებმა დახვრიტეს გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციის დროს, მორის ტორეზს გადასცეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებანი, რომლებზეც მრავალ ათასობით ბავშვს უწერია ხელი.

ფრანგ ქალიშვილთა კავშირის წევრებს მოჰქონდათ პლაკატი, რომელსაც ეწერა სიტყვები: „დანიელ კაზანოვას (საფრანგეთის ეროვნული გმირი ქალი, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას) ქვეყანა არასოდეს არ იომებს ზოია კოსმოდემიანსკაიას ქვეყნის წინააღმდეგ!" პლაკატს, რომელიც მოჰქონდათ საფრანგეთის ახალგაზრდობის რესპუბლიკური კავშირის წარმომადგენლებს, ეწერა: „ფრანგთა სისხლი დოლარებზე არ იყიდება, ბატონო ტრუმენ!"

რომის მოედანი პიაცა დელ პოპოლო 1 მაისს ხალხით იყო გაჭედილი. მოედანზე, მახლობელი პარკის ხეივნებსა და მოსაზღვრე ქუჩებში 100 ათასამდე კაცი იყო.

იტალიის დედაქალაქის მშრომელებს სიტყვით მიმართა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა დი ვიტორიომ. მან იტალიის მუშათა კლასს, ყველა მშრომელს, მთელ იტალიელ ხალხს მოუწოდა უფრო მეტი ენერგიითა და სიმტკიცით იბრძოლონ მშვიდობისათვის, იბრძოლონ იმ აგრესიული ომის საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც ამზადებენ ამერიკელი იმპერიალისტები და მათი აგენტები სხვა ქვეყნებში. მშვიდობისათვის ბრძოლა, თქვა დი ვიტორიომ, განუყოფელია რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაგან, თავისუფლების, შრომისა და პურისათვის ბრძოლისაგან.

მიტინგის მონაწილეთ აღმართული ჰქონდათ უამრავი დროშა და პლაკატი ლოზუნგებით: „ძირს ომი და ფაშიზმი!", „ძირს ამერიკული იარაღი, გაუმარჯოს მშვიდობას!", „სსრ კავშირი ხალხთა შორის მშვიდობის ბურჯია!", „სსრ კავშირი მშვიდობიანი შრომის იარაღს უგზავნის იტალიელ გლეხებს, ამერიკის შეერთებული შტატები კი იარაღს გზავნიან და სურთ იგი ჩვენი სისხლით აინაზღაურონ!", „მშრომელები მშვიდობას დაამყარებენ და შეძლებენ მოიპოვონ პატივისცემა!"

ჰოლანდიაში ყველაზე ძლიერი დემონსტრაცია ამსტერდამში გაიმართა. მელითონეების, ნავსადგურის მუშების, ხის დამმუშავებელი მუშების კოლონებს, ქალებისა და ახალგაზრდობის კოლონებს მოჰქონდათ ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომლებსაც ეწერა: „პური და მშვიდობა!", „გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობას!".

ნიუ-იორკის საპირველმაისო დემონსტრაციაში, რომელიც 6 საათს გაგრძელდა, 75 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას.

„დღეს ჩვენ, — ნათქვამია დემონსტრაციის მონაწილეთა რეზოლუციაში, — სოლიდარობის ხელს ვუწვდით საბჭოთა კავშირის, ჩინეთისა და მთელი მსოფლიოს ხალხებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის ინტერესებისადმი უაღრესად ერთგულნი, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ განუხრელად და დაუღალავად ვიბრძოლებთ მშვიდობის, დემოკრატიისა და უშიშროებისათვის".

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელისუფლებმა აკრძალეს საპირველმაისო დემონსტრაციების მოწყობა. მიუხედავად ამისა, 1 მაისს ამ ქვეყნების მშრომელებმა მხურვალე სოლიდარობა განუცხადეს მთელი მსოფლიოს მუშებს, გამოთქვეს თავიანთი მისწრაფება მშვიდობისადმი, სიძულვილი ახალი ომის გამჩაღებლებისადმი.

ბომბეიში, დელში, მადრასში, კანპურსა და ინდოეთის სხვა მრავალ ქალაქსა და მუშათა რაიონში ხალხმრავალი საპირველმაისო მიტინგები გაიმართა, რადგან ინდოეთის ხელისუფლებმა ყველგან აკრძალეს დემონსტრაციის მოწყობა.

ბომბეის მუშათა რაიონებში გამართულ საპირველმაისო მიტინგებში 500 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მიტინგებმა ჩაიარა ლოზუნგებით: „მტკიცე მშვიდობის, თავისუფლებისა და სახალხო დემოკრატიისათვის!", „ინდოეთის ნამდვილი და სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!", „ძირს ომის ინგლისელი და ამერიკელი გამჩაღებელნი და მათი ინდოელი მოკავშირენი!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობისა და თავისუფლების ბურჯს!" „გაუმარჯოს დიდ სტალინს — მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!", „მშვიდობისათვის ბრძოლა პურისათვის, ტანსაცმლისათვის, ბინისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაა!".

მიტინგების მონაწილეები მხარს უჭერდნენ მუშათა ერთიანობას და მოითხოვდნენ შრომისა და პროფკავშირების შესახებ მუშათა საწინააღმდეგო კანონპროექტების გაუქმებას, კომუნისტური პარტიისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების აკრძალვის გაუქმებას.

კამგარ მაიდანი ბომბეიში მორთული იყო ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტით და წითელი ალმებით.

მშვიდობის მომხრეთა სრულიად ინდოეთის კონგრესის მუდმივი კომიტეტისადმი მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მისასალმებელ დეპეშას ათასობით შეკრებილი შეხვდა შეძახილებით: „გაუმარჯოს მძლავრ და უძლეველ საბჭოთა კავშირს! გაუმარჯოს სტალინს! გაუმარჯოს სსრ კავშირის და ინდოეთის ხალხთა მეგობრობას მათ ბრძოლაში მტკიცე მშვიდობისათვის!".

ინდოეთის ხელისუფალნი არ მოერიდნენ რეპრესიებს. მაგალითად, თხანის საპყრობილეში, ბომბეის ახლოს, სცემეს დაპატიმრებულ კომუნისტებს, რომლებმაც წითელი ალამი გამოჰკიდეს და საპირველმაისო ლოზუნგები გამოაცხადეს. ცემის დროს დაიჭრა 14 პატიმარი.

ირანის მთავრობის „პროფკავშირებმა" წელს უარი თქვეს თეირანში „ორგანიზებულ საპირველმაისო პროცესიათა" მოწყობაზე იმ საბაბით, რომ ეს ხელისუფლებმა აკრძალეს. მაგრამ 1 მაისის წინა დღით თეირანის ბევრ რაიონში ფართოდ გავრცელდა ირანის სახალხო პარტიის საპირველმაისო ფურცლები, ლოზუნგები და ზროშურები. თეირანში, გარდა არალეგალურ გაზეთ „მარდომისა", გაჩნდა აგრეთვე არალეგალური გაზეთი „ზაფარი"—აკრძალული დემოკრატიული პროფკავშირების ორგანო.

როგორც გაზეთი „სეთარე" იუწყება, გაზეთ „ზაფარის" და სახალხო პარტიის სხვა ბეჭდვითი გამოცემებისა და ფურცლების გავრცელებისათვის 30 აპრილს თეირანში 13 კაცი დააპატიმრეს.

საპირველმაისო დემონსტრაციის დროს საიგონში პოლიციამ 200 კაცი დააპატიმრა. საიგონის პოლიციამ იარაღი იხმარა დემონსტრანტების წინააღმდეგ.

სამხრეთ აფრიკის კავშირში 1 მაისის დღესასწაული აკრძალეს. მაგრამ ხელისუფალთა საპოლიციო ღონისძიებებმა ხელი ვერ შეუშალა ტრანსვაალის ათასობით მუშას — ცხადეყო თავისი სოლიდარობა სხვა ქვეყნების მშრომელებთან.

100.000-მდე ზანგი ტრანსვაალის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რაიონში — ვიტვატერსრანდსა და ქალაქ იოჰანესბურგში 1 მაისს სამუშაოზე არ გამოსულა. მოსახლეობას შეტაკებანი მოუხდა პოლიციასთან. ვიტვატერსრანდის ზანგთა ქალაქებში პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი იხმარა. მოკლულია 13 და დაჭრილია 25 კაცი.

1 მაისის აღსანიშნავ გრანდიოზულ მიტინგს ტოკიოში 600 ათასი კაცი დაესწრო.

1 მაისის დღესასწაულმა ცხადყო, რომ ყველა ქვეყნის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი რადაც უნდა დაჯდეს დაიცვან მშვიდობის საქმე, გზა გადაუღობონ ომის გამჩაღებლებს. (საკდესი).

ფეხბურთი

2 მაისს მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკში, თბილისში, [illegible] და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის [illegible] მეხუთე ტურის [illegible] მატჩები „ა" კლასის გუნდებისათვის.

მოსკოვში ფეხბურთის 1950 წლის სეზონის გახსნის აღსანიშნავ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო" და „სსრ კავშირის თასის" მფლობელი სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის გუნდი „ტორპედო". შეხვედრა მოიგო „ტორპედოს" გუნდმა ანგარიშით 1:0. ეს არის წელს მოსკოვის „დინამოს" პირველი დამარცხება და მოსკოვის „ტორპედოს" პირველი გამარჯვება.

თბილისში ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ერევნის „დინამოს" გუნდები. მატჩის დასაწყისშივე თბილისელებმა სწრაფი ტემპი განავითარეს, მე-3 წუთზე მარჯვენა გარემარბ ჯოჯუას მიერ მოულოდნელად დარტყმული ბურთი ზევიდან მოხვდა კარის ძელს და ერევნელები გადარჩნენ მარცხს. თბილისელები დიდხანს უტევდნენ სტუმრებს და ბურთის გატანის შესაძლებლობაც არა ერთხელ ჰქონდათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კარში დარტყმის სრულ უუნარობას იჩენდნენ. დროდადრო ერევნელებიც ახერხებდნენ თბილისელთა დაცვის გარღვევას, მაგრამ არც მათ იერიშებს მოჰყოლია რაიმე შედეგი. მეორე ტაიმი თბილისელთა კიდევ მეტი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრების საჯარიმო მოედანზე ერთ-ერთ არეულობის დროს ერევნელმა დამცველმა ხელით მოიგერია ბურთი, მაგრამ მსაჯმა რუდნევმა (მოსკოვი) რატომღაც „ვერ შეამჩნია" ეს გარემოება. 10 წუთის შემდეგ საჯარიმო მოედნის ხაზზე ამჯერად უკვე თბილისელი დამცველი შეეხო ხელით ბურთს. რუდნევმა არც ეს შეამჩნია (ალბათ, წონასწორობის აღსადგენად). შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

მაკეევკაში ერთმანეთს შეხვდნენ სტალინოს „შახტიორისა" და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალთა („ვვს") ფეხბურთელთა გუნდები. გამარჯვება მოიპოვეს მოსკოველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

ხარკოვის „ლოკომოტივის" გუნდი თავის მოედანზე შეხვდა მოსკოვის „ცდკას" გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მინსკში მინსკისა და კიევის „დინამოს" გუნდების შეხვედრა.

მოსკოვის „სპარტაკის" გუნდი რიგაში შეხვდა ადგილობრივ გუნდს „დაუგავას". მატჩი დამთავრდა რიგელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0. ლენინგრადის „დინამოს" გუნდი თავის მოედანზე დამარცხდა მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდთან, ანგარიშით 0:1.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და სტალინგრადის „ტორპედოს" გუნდების შეხვედრა, რომელიც ჩატარდა კუიბიშევში, დამთავრდა ფრედ 0:0.

ა. გოგოლაშვილი

ახალი წიგნები

ხალხური ლექსები და ზღაპრები, შეკრებილი გ. ნათაძის მიერ. გამომცემლობა საბჭოთა მწერალი. ტირაჟი 7.000 ცალი. 196 გვერდი. ფასი 10 მანეთი.

რუსული ენა და ლიტერატურა ქართულ სკოლებში. კრებული მასწავლებელთა დასახმარებლად. საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა (რუსულ ენაზე). ტირაჟი 3.000 ცალი. 125 გვერდი. ფასი 7 მანეთი და 50 კაპიკი.

ა. წ. 5 მაისიდან გაზეთი „კომუნისტი" გამოვა ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

დედა ქეთო, მამა სოსო, და ნანო იორამაშვილები იუწყებიან **დალის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5,- 6-V, 8 ს. გამოსვენება 7-V, 4 ს. ბორჯომის, 6.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის მუშაკთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სოსო იორამაშვილს მისი შვილის **დალის** გარდაცვალების გამო.

მიხეილ, მარო, ვახტანგ მოსიძეები, ქეთო, შოთა ეგნატაშვილები იუწყებიან **ილია ალექსის-ძე კობალაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ოლია, შვილები აზა, მერი, მაყვალა მატახერიძეები, ბაბილინა და აპოლონ ხახუბიები იუწყებიან **ბესარიონ ლევანის-ძე მატახერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-V ცხაკაიაში გრიზოდუბოვას, 6.

მეუღლე ვერა, შვილები ვასო და დათა, რძალი მარო, შვილიშვილი იზა ჯაფარიძეები იუწყებიან **რევაზ სიმონის-ძე ჯაფარიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-V ვანთაში (თელავის რაიონი).

ლილი ნიჟარაძე, ქეთო, თინა და ვერიკო დემეტრაძეები, სიძე ლეო კვინიკაძე ოჯახით იუწყებიან რძლის ცაცა აკაკის ასულ **მოსიძე-დემეტრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-V წითელხევში (მაიაკოვსკის რაიონი).

მეუღლე ბარბარე, და თამარ, სიძეები სანდრო და სიკო, ლენა ჯანდიერები, ნინო და ლიმიდე ჯოჯუები, თამარ ჩიქვანაია შვილებით იუწყებიან **გიორგი დავითის-ძე ჯანდიერის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 6 ს. გურამიშვილის, 3.

და მანანა, მეუღლე მერი, შვილები ელეონორა, მზია, ალმირა, მერაბ იუწყებიან **ალექსანდრე მერაბის-ძე მჭედლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-V სოფ. მუკუზანში.

მეუღლე სოფიო, შვილები სიმონ, მერი, აკაკი, სიძე გიორგი, რძლები მანია, ტატიანა და შვილიშვილები იუწყებიან **გიორგი აბრამის-ძე ჯავახიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 6 ს. კრამატორსკის, 6.

მეუღლე კაკა, შვილები ვასო, იროდიონ, ფლორა, სიძე ალექსი მენაბდე, რძლები მარუსა, სონია, შვილიშვილები ზაირა, ანზორ, ცაძიკა და დიტო იუწყებიან **ნიკოლოზ ვასილის-ძე მჭედლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 6 ს. კოდორის, 4 (საბურთალო).

მეუღლე ილია ლორთქიფანიძე, მული ვ. გვენცაძე ოჯახებით იუწყებიან **სიდა ვასილის ასულ აბულაძე-ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V. 6 ს. ბელინსკის, 9.

მეუღლე მედეა, შვილები ალეკო და მელიტა, დედა ფუნდუ იუწყებიან **ილია ალექსის-ძე კობალაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4-V, 5½ ს. ზესიკის, 7.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88. განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტო და საბჭოთა მშენებლობისა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24 მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02093